1421/3-89/22 2 16022022

1421/3-89/22
16-02-2022

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

ოლეგ თორთლაძეს

ბატონო ოლეგ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდეთ დეტალური ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რამდენი ჰექტარი მიწა იყო კლასიფიცირებული როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა?
- 2022 წლის 1 იანვრის მდომარეობით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა იყო კერძო პირების საკუთრებაში?
- 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა იყო სახელმწიფოს საკუთრებაში?
- 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რამდენი ჰექტარი მიწა იყო კლასიფიცირებული როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა?
- 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რამდენი ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო მიწა იყო კერძო პირების საკუთრებაში?
- 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რამდენი ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო მიწა იყო სახელმწიფოს საკუთრებაში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გუბაზ სანიკიძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010117299246422

№3236

16 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ გუბაზ სანიკიძეს

ბატონო გუბაზ,

თქვენი 2022 წლის 16 თებერვლის № 1421/3-89/22 მომართვის პასუხად დანართის სახით გეგზავნებათ გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების თაობაზე.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი (Excel)

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე